სადრენაჟე სისტემის აღდგენითი სამუშაოები ქობულეთის მუნიციპალიტეტში

11 ივლისი

შპს „საქართველოს მელიორაცია“ ქობულეთის მუნიციპალიტეტში, მდინარე აჭყვას მასივზე გაწმენდით სამუშაოებს ახორციელებს.

სამუშაოების ფარგლებში, კოლექტორებისა და შემკრები არხების მცენარეული საფარით დაფარული მონაკვეთების გაწმენდა მიმდინარეობს.

ჩატარებული სამუშაოები არხებში წყლის შეუფერხებლად გადინებას უზრუნველყოფს. შედეგად, 5 ჰექტარამდე სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ფართობზე სადრენაჟე მომსახურება აღდგება, რაც მოსავლიანობის გაზრდას შეუწყობს ხელს.

მიმდინარე სამუშაოები აგვისტოს ბოლოს დასრულდება.

აღსანიშნავია, რომ 2012 წლიდან დასავლეთ საქართველოში სამელიორაციო ინფრასტრუქტურის დაახლოებით 45,6 მლნ ლარის ღირებულების პროექტები განხორციელდა.

შედეგად, წყალუზრუნველყოფილი ფართობი 12,000 ჰექტარით გაიზარდა, სარწყავი წყლის მიწოდება 15,270 ჰექტარ სასოფლო-სამეურნეო მიწის ფართობზე გაუმჯობესდა, მიწების დაშრობა 18,700 ჰექტარზე, ხოლო ჭარბი წყლის მოცილება 24,925 ჰექტარზე განხორციელდა.

დედოფლისწყაროში სარწყავი სისტემის რეაბილიტაციის შედეგად დამატებით 500 ჰექტრამდე სასოფლო-სამეურნეო მიწის ფართობი მოირწყვება

17 ივლისი

კახეთის მოსახლეობას სამთაწყაროს მექანიკური მორწყვის რეაბილიტირებული სარწყავი სისტემა ემსახურება. „საქართველოს მელიორაციის" მიერ ჩატარებულ სამუშაოებს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრი ოთარ შამუგია კახეთის სახელმწიფო რწმუნებულ გიორგი ალადაშვილთან ერთად გაეცნო.

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტში, სარწყავ სისტემაზე ჩატარებული სამუშაოების შედეგად, სოფელ სამთაწყაროს, დამატებით, 500 ჰექტრამდე სასოფლო-სამეურნეო მიწის ფართობის მორწყვა გახდა შესაძლებელი.

როგორც ადგილობრივები აცხადებენ, მათთვის ვენახების მორწყვა დიდ სირთულეებთან იყო დაკავშირებული, რადგან წყლის მიყვანა თავად უწევდათ. დღეს კი, წყლის დანაკარგის გარეშე რამდენიმე ფერმერი ერთდროულად რწყავს ვენახს.

რეაბილიტაციის პროექტის ფარგლებში, 11 გამანაწილებელზე, ლითონის მილით, 24,5 კმ დახურული სარწყავი ქსელი, წყალგამშვებები, წყალაღების წერტილები და ჰიდრანტები ჭებით მოეწყო.

პროექტის სახელშეკრულებო ღირებულებაა 4.5 მლნ ლარი.

სამუშაოები გასულ წელს დაიწყო და მიმდინარე წლის ივნისში დასრულდა.

ლაკბეს წყალსაცავზე სარეაბილიტაციო სამუშაოები მიმდინარეობს

18 ივლისი

სამელიორაციო ინფრასტრუქტურული პროექტების ფარგლებში, ლაკბეს წყალსაცავზე მიმდინარე სარეაბილიტაციო სამუშაოები გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრმა ოთარ შამუგიამ კახეთის მხარეში სახელმწიფო რწმუნებულ გიორგი ალადაშვილთან და საქართველოს პარლამენტის აგრარულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარე გელა სამხარაულთან ერთად დაათვალიერა.

საქართველოს მელიორაცია გურჯაანის მუნიციპალიტეტში, 3,6 მლნ ლარის ღირებულების პროექტს ახორციელებს.

„საირიგაციო სისტემების რეაბილიტაცია-მოდერნიზება ჩვენთვის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მიმართულებაა. ქვეყნის მასშტაბით ვახორციელებთ მასშტაბურ სამუშაოებს. ლაკბეს წყალსაცავზე მიმდინარე პროექტი წყალსაცავის უსაფრთხო ფუნქციონირებას უზრუნველყოფს; ამავდროულად, პროექტის ფარგლებში, წყალსაცავის მოცულობა დაახლოებით 600 ათასი კუბით გაიზარდა, რაც, განსაკუთრებით გვალვიან პერიოდში, ძალიან მნიშვნელოვანია წყალსაცავზე მიბმული მიწის ფართობების წყლით უზრუნველყოფისთვის. აღსანიშნავია, რომ ჩვენ მოვიზიდეთ უპრეცედენტო ოდენობის ინვესტიციები, დაახლოებით 300 მილიონ დოლარზე მეტი, 4 სხვადასხვა საფინანსო ინსტიტუტისგან. აღნიშნული ინვესტიცია მოემსახურება ქვეყნაში ძალიან მნიშვნელოვანი და მასშტაბური პროექტების განხორციელებას. მომავალ წელს სამუშაოები იქნება მზარდი, რაც ძალიან მნიშვნელოვანია თითოეული ფერმერისთვის, როგორც მათი პროდუქტიულობის, ასევე, მოსავლის ხარისხის ზრდის კუთხით“, - განაცხადა ოთარ შამუგიამ.

გელა სამხარაულმა კახეთის რეგიონში სამელიორაციო სამუშაოების მიმდინარეობასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ წელს, მიმდინარე ეტაპზე, დაახლოებით 37 მილიონი ლარის 14 პროექტი ხორციელდება, რაც სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია რეგიონში სოფლის მეურნეობის განვითარებისთვის. ბოლო პერიოდში მიმდინარე კლიმატური ცვლილებების გათვალისწინებით, წყლით უზრუნველყოფის გარეშე შეუძლებელია ხარისხიანი პროდუქტის მოყვანა.

ლაკბეს წყალსაცავზე ჩატარებული სამუშაოები მის გამართულად ფუნქციონირებას უზრუნველყოფს, რაც ქვემო სამგორის სარწყავი სისტემის მარცხენა მაგისტრალურ არხში წყლის მიწოდებას გაუმჯობესებს; შედეგად, 2755 ჰექტარი სასოფლო-სამეურნეო მიწის ფართობი იქნება წყალუზრუნველყოფილი, რაც მოსავლიანობას მნიშვნელოვნად გაზრდის.

სარეაბილიტაციო სამუშაოები 2023 წლის შემოდგომაზე დაიწყო და მიმდინარე წლის ბოლოს დასრულდება.

დეხვა-ბობოყვათის მასივის მოწესრიგების სამუშაოები მიმდინარეობს

26 ივლისი

შპს „საქართველოს მელიორაცია“ ქობულეთის მუნიციპალიტეტში, დეხვა-ბობოყვათის მასივის მოწესრიგების სამუშაოებს ატარებს.

ბუჩქნარისა და ნატანი მასისგან კოლექტორული და შემკრები არხების 3 კილომეტრიან მონაკვეთზე გაწმენდითი ღონისძიებები ხორციელდება.

ჩატარებული სამუშაოები არხის გამტარუნარიანობას გაზრდის, რაც 15 ჰექტარ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ფართობზე სადრენაჟე მომსახურებას აღადგენს და აგროწარმოების შესაძლებლობას გაზრდის.

დამშრობ სისტემაზე მიმდინარე სამუშაოები აგვისტოს ბოლოს დასრულდება.

სოფელ ოჟიოში სარწყავი ქსელი წესრიგდება

19 აგვისტო

შპს „საქართველოს მელიორაცია“ ახმეტის მუნიციპალიტეტში, ზემო ალაზნის სარწყავი სისტემის მეორე რიგის გამანაწილებელი არხის სარემონტო სამუშაოებს ახორციელებს.

სოფელ ოჟიოს ტერიტორიაზე, არხის 500 მეტრი სიგრძის მონაკვეთზე ლითონის მილები მონტაჟდება.

სამუშაოები, რომელიც აგვისტოს ბოლოს დასრულდება, სოფელ კოღოთოს 60 ჰექტარ სასოფლო-სამეურნეო მიწის ფართობზე სარწყავი წყლის მიწოდებას გააუმჯობესებს და მოსავლიანობის გაზრდას შეუწყობს ხელს.

სოფელ გვიმბალაურში სადრენაჟე ქსელი წესრიგდება

3 სექტემბერი

შპს „საქართველოს მელიორაცია“ რიონის მარცხენა სანაპიროს დამშრობი მასივის გაწმენდით სამუშაოებს ატარებს.

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში, სოფელ გვიმბალაურის ტერიტორიაზე, ხე-მცენარეებისა და ნატანი მასისგან ჯამში 5,3 კმ სიგრძის კოლექტორული და შემკრები ქსელი იწმინდება.

სამუშაოები არხში წყლის შეუფერხებლად გადინებას უზრუნველყოფს. შედეგად 35 ჰექტარ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ფართობზე სადრენაჟე მომსახურება აღდგება.

სადრენაჟე სისტემის მოწესრიგება აგროწარმოების შესაძლებლობის გაზრდას შეუწყობს ხელს.

სადრენაჟე სისტემის აღდგენითი სამუშაოები სექტემბრის შუა რიცხვებში დასრულდება.

სოფელ კურდღელაურის ტერიტორიაზე სამელიორაციო სამუშაოები ჩატარდა

25 სექტემბერი

გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს შპს „საქართველოს მელიორაციამ“ ზემო ალაზნის სარწყავი სისტემის მოწესრიგების სამუშაოები განახორციელა.

სოფელ კურდღელაურის ტერიტორიაზე მცენარეებისა და ნატანი მასისგან მაგისტრალური არხის 1 კილომეტრამდე მონაკვეთი გაიწმინდა.

სამუშაოები არხში წყლის შეუფერხებლად გადინებას შეუწყობს ხელს.
შედეგად, თელავისა და გურჯაანის მუნიციპალიტეტების 13 სოფლის (შალაური, კისისხევი, ნასამხრალი, წინანდალი, კონდოლი, ქვემო ხოდაშენი, ბუშეტი, ვანთა, აკურა, კახიფარი, კალაური, ვაჩნაძიანი და შაშიანი) დაახლოებით 1200 ჰექტარ სასოფლო-სამეურნეო მიწის ფართობზე სარწყავი წყლის მიწოდება გაუმჯობესდა.

შინდისისა და ფხვენისის ტერიტორიაზე სარწყავი არხები გაიწმინდა

27 სექტემბერი

ქვეყნის მასშტაბით სამელიორაციო ინფრასტრუქტურის მოწესრიგების ღონისძიებების ფარგლებში, შპს „საქართველოს მელიორაციამ“ შიდა ქართლში, გორის მუნიციპალიტეტში, ძლევიჯვარის სარწყავი არხის მოწესრიგების სამუშაოები დაასრულა.

სოფლების - შინდისისა და ფხვენისის ტერიტორიაზე, ხე-ბუჩქნარისა და დანალექისაგან წყალგამანაწილებელი არხების ჯამში 2,5 კილომეტრიანი მონაკვეთი გაიწმინდა.

ჩატარებული სამუშაოები არხში წყლის შეუფერხებლად გადინებას შეუწყობს ხელს.

შედეგად, შინდისისა და ფხვენისის 100 ჰექტარ სასოფლო-სამეურნეო მიწის ფართობზე სარწყავი წყლის მიწოდება გაუმჯობესდება, რაც უხვი და ხარისხიანი მოსავლიანობის გაზრდას შეუწყობს ხელს.